

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

05. 06. 2017 წელი

ეგზ. N2

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ფინანსური აუდიტის ანგარიში N28/36

2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჟ ე ვ ი

ზოგადი ინფორმაცია.....	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძველები.....	5
საწყისი ნაშთების უსწორობა.....	5
ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები.....	6
ხარჯები.....	7
შრომის ანაზღაურება.....	7
საქონელი და მომსახურება.....	7
ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	8
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	9
მუნიციპალიტეტის დაფუძნებული იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგება.....	9
ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.....	9
სარეზერვო ფონდი.....	10
დაურიცხავი პირგასამტეხლო.....	10
საწვავი მასალების ხარჯები.....	10
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები.....	12

ზოგადი ინფორმაცია

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი არის თვითმმართველი თემი, რომელსაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი უფლებამოსილებები და დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე, ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ანგარიშვალდებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტებს და უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

დასახელება	დამტკიცებული გეგმა (ლარი)	დაზუსტებული გეგმა (ლარი)	საკასო შესრულება (ლარი)	დაზუსტებული გეგმის შესრულება (%)
შემოსავლები	17,720,904	17,821,040	18,249,930	102.4
ხარჯები	10,313,376	10,490,825	9,800,491	93.4
შრომის ანაზღაურება	2,198,713	2,198,713	2,189,026	99.6
საქონელი და მომსახურება	1,274,514	1,274,514	1,139,425	89.4
სუბსიდია	3,739,824	3,739,824	3,506,025	93.7
გრანტები	364,646	364,646	290,000	79.5
სოციალური უზრუნველყოფა	224,194	543,847	529,719	97.4
სხვა ხარჯები	2,511,485	2,369,281	2,146,297	90.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,164,412	9,164,412	8,779,401	95.8
არაფინანსური აქტივების კლება	70,685	70,685	71,920	101.7
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	
ფინანსური აქტივების კლება	1,866,379	1,866,379	349,228	18.7
ვალდებულებების ზრდა	0	0	0	
ვალდებულებების კლება	180,180	102,867	91,186	88.6

ცხრილი 1. ინფორმაცია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც

მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

საწყისი ნაშთების უსწორობა

გარემოება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსის საწყისი ნაშთები, რიგ შემთხვევებში, არ არის შესაბამისობაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბალანსის მონაცემებთან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოპოვებული დოკუმენტაციით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსის მონაცემი „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ წარმოადგენს არა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიმდინარე ანგარიშს, არამედ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ანგარიშს და ინფორმაცია წარმოდგენილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ბალანსში.

კოდი	დასახელება	ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ნაშთი 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	სხვაობა
1210	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,907,477	0	-1,907,477
1358	სხვა საგადასახადო აქტივი	0	41,098	41,098
1480	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	0	469,525	469,525
1610	სტრატეგიული მარაგები	175,852	0	-175,852
2110	შენობა-ნაგებობები	31,474,140	31,474,137	-3
2120	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	863,043	819,566	-43,477
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	0	469,525	469,525
3280	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	14,461	97,936	83,475
5100	წმინდა ღირებულება	41,385,917	39,216,730	-2,169,187

ცხრილი 2. ინფორმაცია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსის საწყისი ნაშთების შესახებ (ლარში).

გავლენა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსის მონაცემი წმინდა ღირებულების შესახებ, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სათანადო საფუძვლის გარეშე, არანაკლებ 261.7 ათასი ლარით¹ არის შემცირებული.

ფინანსური აქტივები, მოთხოვნები და ვალდებულებები

გარემოება N1

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსის თანახმად, სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 469.5 ათას ლარს, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 513.3 ათას ლარს. აუდიტორული პროცედურებით დგინდება, რომ ორგანიზაციას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების ნაშთი არ აქვს. ამასთან, საბუღალტრო მონაცემების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს აქვს მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით 198.7 ათასი ლარის ოდენობით² და მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით 256.7 ათასი ლარის ოდენობით³. შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნების ჯამური მოცულობა შეადგენს 455.3 ათას ლარს.

გარემოება N2

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსის თანახმად, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 469.5 ათას ლარს, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 513.3 ათას ლარს. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ არსებული დებიტორული დავალიანების მოცულობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს არაუმეტეს 455.3 ლარს, შესაბამისად, ორგანიზაციის ადგილობრივი ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებიც არ აღემატება 455.3 ათას ლარს.

გავლენა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსის მონაცემი მოთხოვნების და ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების ნაშთის შესახებ, ორგანიზაციის რეალურ ფინანსურ მდგომარეობასთან შედარებით არანაკლებ 58.0 ლარით არის გაზრდილი.

¹ 2,169,187ლარი - 1,907,477ლარი = 261,710 ლარი.

² 21,109 ლარის ღირებულების მოთხოვნაზე მიმდინარეობს სასამართლო დავა, ხოლო 20,898 ლარის ღირებულების მოთხოვნაზე დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო ვერ დავრწმუნდით მოთხოვნის რეალურობაში.

³ 197,219 ლარის ღირებულების მოთხოვნაზე მიმდინარეობს სასამართლო დავა, ხოლო 592 ლარის ღირებულების მოთხოვნაზე დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო ვერ დავრწმუნდით მოთხოვნის რეალურობაში.

გარემოება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსის თანახმად, სხვა საგადასახადო აქტივის ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 41.1 ათას ლარს, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს სხვა საგადასახადო აქტივის ნაშთი არ აქვს. მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ სხვა საგადასახადო აქტივის ნაშთი წარმოშობილია 2016 წლამდე პერიოდში ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის საფუძველზე და ნაშთის მოცულობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 47.0 ათას ლარს.

გავლენა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსის მონაცემი, სხვა საგადასახადო აქტივის ნაშთის შესახებ, ორგანიზაციის რეალურ ფინანსურ მდგომარეობასთან შედარებით 47.0 ათასი ლარით არის შემცირებული.

ხარჯები

შრომის ანაზღაურება

გარემოება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსის თანახმად, მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯმა შეადგინა 2,189.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 2,379.3 ათასი ლარი⁴. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ თანამდებობრივი სარგოს საკასო და ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 1,391.9 ათას ლარს, ხოლო პრემიის საკასო და ფაქტობრივი ხარჯი - 797.1 ათას ლარს (თანამდებობრივი სარგოს 57.3%). პრემია გაცემულია 7-ჯერ⁵, თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით. აუდიტის ობიექტის განმარტებით, სხვაობა გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზის გამო.

გავლენა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსის მონაცემი შრომის ანაზღაურების ფაქტობრივი ხარჯის შესახებ რეალურ ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებაში 190.3 ათასი ლარით არის გაზრდილი.

საქონელი და მომსახურება

გარემოება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსის თანახმად, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საკასო ხარჯი შეადგენს 513.4 ათას ლარს, ხოლო ფაქტობრივი ხარჯი - 1,649.8 ათას ლარს. სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის წარმოდგენილი

⁴ მათ შორის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის შრომის ანაზღაურების ხარჯი, გარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯებისა.

⁵ 2016 წლის იანვარი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, სექტემბერი, დეკემბერი.

საბუღალტრო დოკუმენტაციით არ დასტურდება. აუდიტის ობიექტის განმარტებით, სხვაობა გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზის გამო.

გავლენა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსის მონაცემი სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ფაქტობრივი ხარჯის შესახებ 1,136.4 ათასი ლარით არის შეუსაბამო.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსის თანახმად, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 1,773.3 ათას ლარს. მოქმედი კანონმდებლობით, საბიუჯეტო ორგანიზაციებში ძირითად აქტივებს, მიუხედავად იმისა, საანგარიშო წლის რომელ თვეშია ისინი შეძენილი ან წარმოებული და იმყოფება თუ არა აქტივი ექსპლოატაციაში, ცვეთა ერიცხება წლის ბოლოს სრული კალენდარული წლისათვის და გამოიანგარიშება მათი საწყისი (ისტორიული) ღირებულების გამრავლებით შესაბამისი ინსტრუქციით⁶ გათვალისწინებულ წლიურ ნორმაზე. მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წლების განმავლობაში ცვეთის დარიცხვა ხორციელდებოდა ძირითადი აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულების გამრავლებით ცვეთის წლიურ ნორმაზე. ამასთან, ცვეთის განსაზღვრული ნორმა, ძირითადად, არ არის შესაბამისობაში ინსტრუქციის მოთხოვნებთან. აუდიტორული პროცედურების შედეგად დგინდება, რომ სატრანსპორტო საშუალებებზე დასარიცხი ცვეთა, ნაცვლად საბალანსო 138.7 ათასი ლარისა, შეადგენს 101.3 ათას ლარს, სხვა მანქანა დანადგარებსა და ინვენტარზე დასარიცხი ცვეთა, ნაცვლად საბალანსო 72.3 ათასი ლარისა, შეადგენს 12.6 ათას ლარს. ამასთან, ორგანიზაციის ბალანსზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე დასარიცხი ცვეთის გაანგარიშება, სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო, ვერ განხორციელდა. იგივე მიზეზით ვერ განხორციელდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „ხელვაჩაურის წყალკანალისა“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქონებაზე დასარიცხი ცვეთის გაანგარიშება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი ცვეთის უწყისის მონაცემები არსებითად განსხვავდება ორგანიზაციის საბალანსო მონაცემებისგან⁷.

გავლენა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილი ბალანსის მონაცემი ძირითადი კაპიტალის მოხმარების შესახებ, ორგანიზაციის რეალურ ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებაში არანაკლებ 97.1 ათასი ლარით არის შეუსაბამო.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია.

⁷ ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა N5).

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

მუნიციპალიტეტის დაფუძნებული იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგება

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2016 ბიუჯეტის დაფინანსებაზე იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. აღნიშნული ორგანიზაციების წარმოდგენილი ბალანსებიდან ნაწილი⁸ მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, ხოლო ნაწილი⁹ - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილის N97 ბრძანების „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე. რადგან მუნიციპალიტეტის დაფუძნებული ორგანიზაციები იმყოფება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე, შესაბამისი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგება უნდა მომზადდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია

2016 წელს, საინვენტარიზაციო კომისიის¹⁰ მიერ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის/საკრებულოს ბალანსზე რიცხული ქონებიდან განხორციელებული იქნა მხოლოდ ადმინისტრაციული დანიშნულების ქონების ინვენტარიზაცია¹¹, რითაც დარღვეული იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 მუხლი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2016 წელს არ ჩატარებულა ფინანსური მოთხოვნების/ ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეული იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605

⁸ ა(ა)იპ „ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება“, ა(ა)იპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი“, ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“.

⁹ ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა“, ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“, ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“, შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“.

¹⁰ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება N1159, 24/10/2016 წ.

¹¹ არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების 17.1%.

ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარებლობის პირობებში, წლების განმავლობაში ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვის დროს არსებითი შეუსაბამობების¹² გათვალისწინებით, ვერ დავრწმუნდით არაფინანსური აქტივების საბალანსო ნაშთის რეალობაში.

სარეზერვო ფონდი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის უზრუნველსაყოფად შექმნილია კომისია, რომელიც განიხილავს მოქალაქეთა შემოსულ განცხადებებს და გამგებელს წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც იდენტურ პირობებში მოქალაქეები სხვადასხვა თანხით დაფინანსდნენ, ასევე ფიქსირება შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე მოქალაქეს დახმარება ორჯერ გაეწია, თუმცა სხვებს უარი ეთქვათ. აღსანიშნავია, რომ განმცხადებლებზე უარის მიზეზი ძირითადად ზოგად ხასიათს ატარებს. მაგ. შესაბამის ოქმებში აღნიშნულია, რომ სარეზერვო ფონდი ვერ უზრუნველყოფს იმ განცხადებების დაკმაყოფილებას, სადაც სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულ პირობებში, მოქალაქეთა მეტი ინფორმირებულობა შეამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკებს.

დაურიცხავი პირგასამტეხლო

სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ფიქსირდება, მიმწოდებლების მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის დროს, პირგასამტეხლოს არასრულად დარიცხვის შემთხვევები¹³.

საწვავი მასალების ხარჯები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვაზე, 2016 წლის განმავლობაში, გაწეულმა მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 68.7 ათასი ლარი. მათ შორის, 21.3 ლარის ღირებულების 15,427 ლიტრი საწვავი¹⁴ გაწეულია თექვსმეტ ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც არ ირიცხება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე და იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეების მფლობელობაში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თანამშრომლისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას პირად მფლობელობაში არსებული ავტომობილისათვის განკუთვნილი საწვავის უსასყიდლოდ გადაცემით მიღებული სარგებელი. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

¹² იხ. ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

¹³ SPA160001083, ხელშეკრულება N61, 23/03/2016 წ. - დამატებით დარიცხვას ექვემდებარება 3,399.1 ლარი; SPA160001081, ხელშეკრულება N71, 30/03/2016 წ. - დამატებით დარიცხვას ექვემდებარება 643.5 ლარი.

¹⁴ 11,359 ლიტრი ბენზინი, 4,068 ლიტრი დიზელის საწვავი.

გამგეობის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის გადაცემის დოკუმენტური დადასტურება.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის/საკრებულოს მიერ გაწეული საწვავი მასალების ხარჯების აუდიტის შედეგად ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც სატრანსპორტო საშუალებებში, ერთი ოპერაციის ფარგლებში, ჩასხმულია შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალების საწვავის ავზის მოცულობაზე მეტი საწვავი¹⁵. ამასთან, საწვავის ხარჯვის არასაკმარისი კონტროლის მექანიზმებზე მიუთითებს, 2016 წლის ბოლო რიცხვებში, სატრანსპორტო საშუალებებში დიდი რაოდენობის საწვავის ჩასხმის შემთხვევები¹⁶.

ჰენრი სანიკიძე

/წამყვანი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

ირაკლი ანანიძე

/წამყვანი აუდიტორი/

გურანდა გვაზავა

/აუდიტორი/

5 ივნისი 2017 წელი

¹⁵ მაგ. იმ პირობებში, როდესაც ავტომობილის საწვავის ავზის მოცულობა არის 70 ლიტრი, ერთი ოპერაციის ფარგლებში ჩასხმულია 120 ლიტრი საწვავი.

¹⁶ სარეგისტრაციო ნომერი: XHX-281, 27-31 დეკემბერი, 263 ლიტრი; სარეგისტრაციო ნომერი: NG-051-NA, 31 დეკემბერი, 158 ლიტრი.

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	41,098	
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	469,525	513,328
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		

II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610	0	0
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	4,880,377	3,904,302
410	შენობა-ნაგებობები	2110	31,474,137	37,926,822
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	819,566	650,096
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	179,756	177,958
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
460	ფასეულობები	2300		
470	არაწარმოებული აქტივები	2400	1,919,732	1,919,732
	ბალანსი		39,784,191	45,092,238

კოდი	I. ვალდებულებები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
510	ვალდებულებები ბარტერით	3230		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
530	გადასახდელი დღგ	3242		
540	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
550	სხვა გადასახდელები	3244		
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245	469,525	513,328
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
660	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	97,936	39,675
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
720	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100	39,216,730	44,539,236
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
770	გაუნაწილებელი მოგება	5220		
780	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი		39,784,191	45,092,239

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

სტრიქონის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	7,005,262	6,941,268	6,484,734	6,484,734	6,294,467	9,394,397	3,099,930
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	2,310,770	2,388,980	2,379,293	2,379,293	2,189,026	2,379,293	190,267
030	1.1.1 ხელფასები	211	2,310,770	2,388,980	2,379,293	2,379,293	2,189,026	2,379,293	190,267
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	2,310,770	2,388,980	2,379,293	2,379,293	2,189,026	2,379,293	190,267
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	1,531,979	1,591,873	1,582,186	1,582,186	1,391,919	1,582,186	190,267
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	778,791	797,107	797,107	797,107	797,107	797,107	-
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114							
090	1.1.1.1.5 პონორარი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212							
130	1.1.2.1. ფაქტ. განხორციელ. სოციალ. შენატანები	2121							
140	1.1.2.2. პირობითად განხორც. სოციალ. შენატანები	2122							
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	1,274,514	1,274,514	1,139,425	1,139,425	1,139,425	2,275,806	1,136,381
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	90,417	90,417	81,087	81,087	81,087	81,087	
170	1.2.2 მივლინებები	222	18,800	18,800	81,087	81,087	81,087	81,087	
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	394,319	394,319	335,059	335,059	335,059	335,059	
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	6,000	6,000	3,727	3,727	3,727	3,727	
200	1.2.5 კვების ხარჯები	225							
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226	49,998	49,998	40,919	40,919	40,919	40,919	
220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227							
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	171,545	171,545	148,397	148,397	148,397	148,397	
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	543,435	543,435	513,400	513,400	513,400	513,400	
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23							
270	1.4 პროცენტი	24							
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241							

290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							
1	2	3							
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							
350	1.5 სუბსიდიები	25							
360	1.6 გრანტები	26	364,646	364,646	290,000	290,000	290,000	290,000	
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261							
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262							
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	364,646	364,646	290,000	290,000	290,000	290,000	
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631	364,646	364,646	290,000	290,000	290,000	290,000	
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	543,847	543,847	529,719	529,719	529,719	529,719	
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271							
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							
490	1.7.1.2. სასაქონლო ფორმით	2712							
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	543,847	543,847	529,719	529,719	529,719	529,719	
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	543,847	543,847	529,719	529,719	529,719	529,719	
520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722							
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273							
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731							
550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28	2,511,485	2,369,281	2,146,297	2,146,297	2,146,297	2,146,297	
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281							
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							
590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812							
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშ. ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება	2813							
610	1.8.1.4 რენტა	2814							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	2,511,485	2,369,281	2,146,297	2,146,297	2,146,297	2,146,297	
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821							
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822	2,511,485	2,369,281	2,146,297	2,146,297	2,146,297	2,146,297	

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრიქონის კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
010	1. არაფინანსური აქტივები	31	8,013,141	8,013,141	8,013,141	8,013,141	8,013,141
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	8,013,141	8,013,141	8,013,141	8,013,141	8,013,141
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	8,013,141	8,013,141	8,013,141	8,013,141	8,013,141
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	2,239,656	2,239,656	2,239,656	2,239,656	2,239,656
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალეები	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115	1,401,335	1,401,335	1,401,335	1,401,335	1,401,335
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118	2,952,647	2,952,647	2,952,647	2,952,647	2,952,647
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119	356,338	356,338	356,338	356,338	356,338
130	1.1.1.10 მილსადენები	311110	30,941	30,941	30,941	30,941	30,941
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111	1,032,224	1,032,224	1,032,224	1,032,224	1,032,224
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112					
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121					
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122					
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრიქონის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
10	1. ფინანსური აქტივები	32	0	0	0	0	0
20	1.1 საშინაო	321	0	0	0	0	0
30	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
40	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213					
50	1.1.3 სესხები	3214					
60	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
70	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216					
80	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					
90	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322	0	0	0	0	0
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებები	33	180,180	180,180	180,180	180,180	180,180
200	2.1 საშინაო	331	180,180	180,180	180,180	180,180	180,180
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312	180,180	180,180	180,180	180,180	180,180
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313					
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318					
280	2.2 საგარეო	332	0	0	0	0	0

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშის №	დებეტი	თანა	ანგარიშის №	კრედიტი	თანა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	39,216,730
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	2,379,293	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	14,398,794
7200	საქონელი და მომსახურება	2,275,806	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	1,773,282	6000	შემოსავლები	0
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	1,773,282	6300	მ.შ. გრანტები	
7400	პროცენტი				
7500	სუბსიდია				
7600	გრანტები				
7700	სოციალური უზრუნველყოფა	529,719			
7800	სხვა ხარჯები	2,146,297			
	აქტივების უსასყიდლოდ გასვლა, ვალდებულების უსასყიდლოდ მიღება	476,900		აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულების უსასყიდლოდ გასვლა	505,008
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები		3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600-2000	არაფინანსური აქტივები	476,900	1600-2000	არაფინანსური აქტივები	505,008
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებეტო ბრუნვა	9,581,297		საკრედიტო ბრუნვა	14,903,802
	სულ ჯამი:**	9,581,297		სულ ჯამი:***	54,120,532
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	44,539,235

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება						გასვლა						ნაშთი წლის (პერიოდისთვის) ბოლოს
			შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	გრანტები	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	დანაკლისის აღდგენით	გრანტებით	სხვა ხარჯებით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	
010	1. მატერიალური მარაგები	4,880,377												976,075	3,904,302
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები	4,880,377												976,075	3,904,302
040	1.2.1. ნედლეული და მასალები	0													
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	0													
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები	0													
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	4,880,377												976,075	3,904,302
110	2. ძირითადი აქტივები	32,516,939		8,013,141		505,008		13,450			476,900		1,773,282		38,798,356
120	2.1 შენობა-ნაგებობები	31,474,137		8,013,141		0							1,560,456		37,926,822
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები	0													
140	2.1.2 არსაცხოვრებელი შენობები	14,732,122		2,239,656									169,717		16,802,061
160	2.1.4 ქუჩები	0													
170	2.1.5 გზები	1,479,427		1,401,335											2,880,762
180	2.1.6 ხიდები	0													
200	2.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	6,985,313		2,952,647									775,160		9,162,800
	2.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	780,381		356,338									38,648		1,098,071
	2.1.10 მილსადენები	4,620,292		34,941									186,049		4,465,184
230	2.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	2,876,602		1,032,224									390,882		3,517,944
240	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	819,566				505,008		13,450			476,900		211,028		650,096
250	2.2. სატრანსპორტო საშუალებ.	501,417				505,008		13,450			476,900		138,703		404,272
260	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	361,627											72,325		289,302
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	179,756											1,798		177,958
280	2.3.1 კულტივირ. აქტივები	0													
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	179,756											1,798		177,958
300	2.4 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	0	0												
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები														
320	4. ფასეულობები														
360	5. არაწარმოებული აქტივები	1,919,732													1,919,732
370	5.1 მიწა	1,919,732													1,919,732

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																	
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება			საანგარიშო პერიოდში გასვლა				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შემენა	სხვა სახით მიღება		ექსპლუატაციიდან გასული		სხვა სახით გასული									
	რაოდენობა	ლირებულა	რაოდენობა	რაოდენობა	ლირებულა	რაოდენობა	ლირებულა	რაოდენობა	ლირებულა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სა თადა რიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	34	1,005,131	0	1	13,450	2	5,300	6	476,900	124,952	33,295	76,728	14,929	124,952	33,295	76,728	14,929
მ.შ. მსუბუქი	11	53,978	0	0	0	1	880	1	3,500	16,261	3,343	11,506	1,412	16,261	3,343	11,506	1,412
ჯიპები და პიკაპები	12	347,843	0	0	0	1	4,420	2	32,000	90,600	24,009	56,540	10,051	90,600	24,009	56,540	10,051
სამგზავრო სატრანს. საშუალებები	3	102,700	0	1	13,450	0	0	0	0	18,091	5,943	8,682	3,466	18,091	5,943	8,682	3,466
სატვირთო	8	500,610	0	0	0	0	0	3	441,400	0	0	0	0	0	0	0	0